


**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2012 წლის II კვარტალი (წინასწარი)**

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წლის II კვარტალში 219 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 7 პროცენტით აღემატება 2011 წლის II კვარტალის წინასწარ მონაცემებს და ამავე პერიოდის დაზუსტებული მაჩვენებლის 88 პროცენტს შეადგენს.

რაც შეეხება წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს, წინასწარი მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წლის პირველ 6 თვეში 489 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (დიაგრამა №2), რაც 29 პროცენტით აღემატება 2011 წლის პირველი ნახევრის წინასწარ და 7 პროცენტით ამავე პერიოდის დაზუსტებულ მონაცემებს.

დიაგრამა №1


**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2010-2012* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)**



*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში
2010-2012* წწ. I-II კვარტალში (მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2010-2012 წლებში. 2012 წლის II კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 303 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2010-2012* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2010				2011				2012*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	167	208	226	214	210	248	317	343	269	219
მათ შორის:										
შემომავალი ნაკადები	256	402	296	349	315	334	437	509	321	303
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-89	-194	-71	-135	-106	-86	-121	-166	-52	-84

*წინასწარი მონაცემები.

2012 წლის II კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ძირითადი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №2):

ცხრილი №2


ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2012 წლის II კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2010				2011				2012*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
სულ	166.5	208.3	225.6	214.1	209.7	248.3	316.6	342.6	269.4	219.4
მათ შორის:										
ნიდერლანდები	40.7	-9.3	20.3	21.7	39.4	20.5	108.1	73.8	-105.0	81.7
აშშ	4.9	48.6	24.5	57.8	-26.3	51.5	-25.1	28.0	3.2	24.8
აზერბაიჯანი	11.4	16.2	17.6	12.8	19.9	29.5	42.9	45.7	19.7	21.0
ლუქსემბურგი	3.3	3.0	-0.7	1.4	2.3	1.8	9.1	30.0	19.8	12.8
გაერთიანებული სამეფო	9.1	23.7	12.4	13.8	39.3	5.2	5.8	4.7	27.3	12.1
იაპონია	15.7	18.3	3.8	-20.2	-8.2	3.6	10.6	17.0	21.6	11.9
თურქეთი	33.3	12.6	24.7	21.2	16.1	21.9	27.5	10.0	32.2	10.9
ყაზახეთი	-14.0	-2.7	-2.0	2.1	0.9	0.6	12.2	-8.4	8.3	6.0
კვიპროსი	-1.6	31.6	7.1	3.3	19.9	1.3	2.4	-13.3	17.0	5.2
დანარჩენი ქვეყნები	63.9	66.2	117.8	100.3	106.4	112.3	123.1	155.1	225	33.0

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №3

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები 2012* წლის II კვარტალში (მლნ. აშშ დოლარი)




*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილმა 2012 წლის II კვარტალში 85 პროცენტი შეადგინა. პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №4, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 37 პროცენტით, მეორეზე - აშშ 11 პროცენტით, მესამეზე - აზერბაიჯანი 10 პროცენტით.

დიაგრამა №4

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2012* წლის II კვარტალში (%)



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოცემულია ცხრილში №3:

ცხრილი №3

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2010-2012* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)**

	2010				2011				2012*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
სულ	166.5	208.3	225.6	214.1	209.7	248.3	316.6	342.6	269.4	219.4
მათ შორის:										
ენერგეტიკა	16.0	-5.7	4.9	6.6	38.4	-7.5	82.4	90.7	18.3	74.9
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	15.0	33.6	38.5	128.0	0.7	60.6	28.5	36.7	38.1	58.1
დამამუშავებელი მრეწველობა	52.3	72.9	32.2	17.9	48.1	23.5	18.3	30.5	64.5	42.0
საფინანსო სექტორი	10.4	26.0	53.2	17.8	37.6	26.7	47.8	55.5	62.5	18.6
სასტუმროები და რესტორნები	22.7	-10.3	4.1	0.7	16.0	10.9	2.9	-7.2	4.4	9.2
უძრავი ქონება	8.2	22.4	32.3	11.8	3.4	38.2	-0.1	47.6	2.8	8.9
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	3.3	2.9	0.8	1.7	2.3	2.4	6.1	4.1	5.6	6.4
დანარჩენი სექტორები	38.6	66.5	59.6	29.6	63.3	93.4	130.6	84.6	73.2	1.3


* წინასწარი მონაცემები

2012 წლის II კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 75 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 34 პროცენტია.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012 წლის II კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №5:

დიაგრამა №5

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის
სექტორების მიხედვით 2012* წლის II კვარტალში (%)



წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა:

ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.